****

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ და ფედერაციასთან არსებული ახალგაზრდულმა მოძრაობამ ქართული საბავშვო წიგნის დღესთან დაკავშირებით მოაწყო აქცია სახელწოდებით **„გაუფრთხილდი ბუნებას დაეხმარე თანატოლს“.** მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისის საჯარო და კერძო სკოლებმა, მათ შორის არის სსიპ ქალაქ თბილისის N18 საჯარო სკოლა.

აქციის მიზანი იყო - მონაწილე მოსწავლეებმა არ გადააგდონ ფურცელი სანაგვეზე - მიუჩინონ ადგილი მწვანე ყუთში, გადაარჩინონ ხე, გაუფრთხილდნენ ბუნებას, ხოლო შეგროვილი მაკულატურის სანაცვლოდ მიღებული წიგნები თანატოლს აჩუქონ.

მოსწავლეების მიერ შეგროვილ მაკულატურაზე გადაცვლილი წიგნები საჩუქრად გადაეცემათ **"ბერი ანდრიას ფონდს"**, რომელიც სოლიდური სიმსივნით დაავადებულ მოზარდებზე ზრუნავს.

ჩვენი სკოლის მიერ შეგროვილი მაკულატურის რაოდენობა არის 373 კილოგრამი, რის საფუძველზეც სკოლა ჩაბარებული მაკულატურის რაოდენობის მიხედვით პირველ სამეულში მოხვდა და მესამე ადგილზე გავიდა.

[საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის აქციაში მონაწილე ყველა მოსწავლეს, პედაგოგსა და დირექტორს.]